| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| BvAPyj | -------- | gejadze@gmail.com | 2020-04-11 | თუ არ წაიკითხავ უკეთესია.<br /> მართალია ჩემს თავს დავპირდი რომ აღარასოდეს მოგწერდი, მაგრამ ეს უნდა გავაკეთო, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი თავი აღარ დავადანაშაულო. ნეტავ იცოდე რამდენ რამეს გადავაბიჯე ეს რომ მომეწერა.<br /> პირველი რაც მინდა იცოდე ისაა რომ არასდროს განზრახ ცუდად არ მოგქცევივარ, გულშიც კი არ გამივლია შენთვის რაიმე ცუდის გაკეთება, არასდროს არც შეგნებულად და არც შეუგნებლად. პირიქით იმას უფრო ვუშვებდი რომ ჩემი თავისთვის დამეშავებინა რამე ვიდრე შენთვის. არ ვიცი რას როგორ აღიქვამდი, ან რა როგორ მიიღე, რა მოგიყვა და რა როგორ ჩაგაწვეთა მაგრამ მერწმუნე არასდროს, არასდროს განგებ ცუდის ჩადენა არც კი გამიფიქრია.<br /> ვიცი, რომ ძალიან ბევრ რამეში მადანაშაულებ და არც თუ უსაფუძვლოდ. მაგრამ ახლა თავის მართლებას არ ვაპირებ. მხოლოდ იმაზე მიდნა იფიქრო, როდესაც ჩამოხვედი სულ ცოტა ყურადღება რომ გამოგეჩინა, სულ ცოტათი მაინც რომ დაინტერესებულიყავი ჩემი არსებობით ძალიან ბევრი რამე ძალიან სხვანაირად იქნებოდა, მაგრამ მესმის როგორი რთული იქნებოდა ეს შენთვის. შენ ხომ ასე ძალიან იყავი დაკავებული ნინის სწავლა-განათლებითა და მასთან ურთიერთობით. მახსოვს ის სიცივე და იგნორი შენი მხრიდან. ამის ფონზე კი შენი დაცვის იმედით გათამამებული შენი "მეგობარი" მამცირებდა როგორც კი შეეძლო, თავისი პატარა გაქანებით. არ ერიდებოდა არც მორალურ და არც ადამიანურ საზღვრებს. იცოდი ხომ ამის შესახებ? იქნებ ერთადაც გადაწვიტეთ ასე. კოშმარად მექცა ყოველი აივანზე გასვლა, და მერე გიკვირდათ რატომ არსად არ დავდიოდი.<br /> ჩემი არც ერთი სიტყვა არაფერს ნიშნავდა შენთვის, მე კი მაშინ როგორ გულუბრყვილო ვიყავი. აი იმდენად, რომ მზად ვიყავი ყველა და ყველაფერი მიმეტოვებინა შენი ერთი სიტყვით. თვალდახუჭული გენდობოდი და შემეძლო ასე გამოგყოლოდი ქვეყნის დასალიერშიც. როგორც კი თვალებს დავხუჭავდი მხოლოდ შენ იყავი, სიზმარშიც მხოლოდ შენ იყავი. ყველა ოცნებაში მხოლოდ შენ გხედავდი. იცი რამდენჯერ მინატრია თუნდაც რამდენიმე წუთიან გულახდილ საუბარზე, ან უბრალოდ ღიმილზე, ხო შენს ღიმილზე, რომელიც ასე ძალიან მიყვარდა და მოუთმენლად ველოდებოდი. და ასე გრძელდებოდა დიდხანს. ხომ ვხედავდი შენს ქცევას, შენს დამოკიდებულებას და მე მაინც არ ვუტყდებოდი საკუთარ თავს, მაინც საპირისპიროს ვუმტკიცებდი. ნეტავ იცოდე რა გადავიტანე და რა გამოვიარე სულ მარტომ, შენმა მეგობარმა რაც გამომატარა ესეც გეცოდინება, აღარ მოგიყვები, იმედია ისიამოვნე :) შურისძიება გინდოდა, მოახერხე კმაყოფილი ხარ? უფრო მეტად რომ გაგიხანგრძლივო სიამოვნება გეტყვი რომ თვითმკვლელობაზე ვიფიქრე არაერთხელ. <br /> შენზე ფიქრის გარეშე არ გადამიდგამს არც ერთი ნაბიჯი. ვერ შევირგე ევროპაში ეს ერთი წელი, რადგან სულ იმაზე ვფიქრობდი სად ან როგორ იყავი, რას შვრებოდი, რას გრძნობდი ან რას ფიქრობდი.<br /> გულწრფელად გისურვებ ყველაფერ კარგს, დაე ისე იყოს ყველაფერი როგორც შენ გინდა.<br /> ახლა ერთადერთი რამაა რაც შემიძლია გავაკეთო და მგონია რომ სულ ცოტათი მაინც გამიმარტივებს ცხოვრებას, რადგან ახლა ძალიან მძიმეა უკვე იმდენად რომ ვეღარ ვზიდავ. არადა ვიცი, რომ ამასაც ისე ვინანებ როგორც სხვა უამრავ ნაბიჯს რომელიც გადმოვდგი, და ვიცი ვიცი არ დამიჯერე, მაგრამ მართლა არ ვარ ასეთი. ბევრი ისეთი რამ გავაკეთე რასაც ვერასდროს წარმოვიდგენდი, რაც ძალიან ეწინააღმდეგება ჩემს მორალს.<br /> იცი რამდენ ხანს მტანჯავდა განცდა რომ არ ვიყავი საკმარისი, არ ვიყავი საკმარისად კარგი, საკმარისად ლამაზი, ჭკვიანი, თბილი და ასე ბევრი არა საკმარისი :) შენც ხშირად მიდასტურებდი ამას და ასეთ ფიქრებს რომ არ გავეგიჟებინე კი ვაკეთებდი სისულელეებს იქნებ როგორმე საპირისპირო დამემტკიცებინა ჩემი თავისთვის მაინც. <br /> იმედია აქამდე არ წაგიკითხავს, მაგრამ თუ მაინც არ მინდა არასწორად აღიქვა. თუ ახლავე დაივიწყებ რაც წაიკითხე ძალიან მადლობელი დაგრჩები. მხოლოდ იმისთვის გავაკეთე, რომ მომავალში ისევ არ შევეწუხებინე ფიქრებს თითქოს საკმარისი არ გავაკეთე. უბრალოდ ახლა მგონია რომ ასე უფრო მარტივად შევძლებ გაგრძელებას. მაპატიე, თუ არ მოგეწონა რაც აქ წერია. ამაზე ვეღარ ვფიქრობ. არც ის ვიცი ამის მერე რას იფიქრებ. შეგიძლიათ ერთად წაიკითხოთ და მერე ბევრი იცინოთ. მაინც სულ ერთია უკვე ყველაფერი. | 0 | 1 | 1 | 188.121.214.114 | 2020-04-04 14:43:34 | 0 |